საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1437 2018 წლის 26 ივლისი ქ. თბილისი

2018 წლის რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), 2018 წლის რთვლის ხელშეწყობის ღონისძიებების (კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში) ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, შექმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – რთვლის საკოორდინაციო შტაბი) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. დაევალოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალ უწყებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციას, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული რთვლის საკოორდინაციო შტაბის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კანდიდატურების წარდგენა სააგენტოსთვის.

3. ეთხოვოთ ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, ამბროლაურისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს, უზრუნველყონ, სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ყურძნის ჩამბარებლებზე ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობების გაცემა.

4. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ღვინის კომპანიებში ყურძნის ჩაბარების პროცესში ადგილებზე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოება.

5. ღვინის კომპანიები, რომლებსაც აქვთ განზრახული ყურძნის მიღება-გადამუშავება, ვალდებულნი არიან:

ა) რეგისტრაცია გაიარონ რთვლის საკოორდინაციო შტაბში;

ბ) ყურძნის მიღება-გადამუშავება განახორციელონ:

ბ.ა) სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამოწმებული სასწორებით აღჭურვილ საწარმოში;

ბ.ბ) ყურძნის ჩამბარებლის მიერ ყოველი პარტიისათვის ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის წარდგენის შემთხვევაში.

6. სააგენტომ დაცული ადგილწარმოშობის დასახელებისა და დასახელება – „საფერავის“ გამოყენების უფლება ღვინის კომპანიებს მისცეს მხოლოდ რთვლის საკოორდინაციო შტაბის მიერ აღრიცხული ყურძნისგან მიღებულ და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით წარმოებულ ღვინოებზე. სხვა ჯიშის ყურძნის მიღების შემთხვევაში ღვინის კომპანია ვალდებულია, ინფორმაცია ატვირთოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (http://portal.wine.gov.ge) ყურძნის მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

7. ეთხოვოთ ღვინის კომპანიებს, უზრუნველყონ ყურძნის ყოველდღიური მიღების განზრახვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება რთვლის საკოორდინაციო შტაბისათვის.

8. ეთხოვოთ ღვინის კომპანიებს, მოახდინონ ყურძნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ჭაჭის გამოხდა ან მისი სხვა სახით გამოყენება/განადგურება და არ დაუშვან მისი ფიზიკური პირისთვის/პირებისთვის გადაცემა.

9. ეთხოვოთ თვითმმართველი ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს, 2018 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ადგილების გამოყოფა.

10. ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს მის მმართველობაში არსებული სს „აკურის“ (ს/კ: 231165583) მიერ 2018 წლის რთვლის პერიოდში ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

11. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოზე არ გავრცელდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ 2018 წლის პირველი აგვისტოდან 2018 წლის პირველ ნოემბრამდე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის №181 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სააგენტოს დამხმარე ამოცანების შესასრულებლად განსაზღვრული შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გარდა, დამატებით განსაზღვროს არა უმეტეს 100 (ასი) ერთეულით, რომელთა შრომის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პროგრამის „რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 31 03 05) გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**